ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი #10

დაბა ხარაგაული 20 აგვისტო 2018 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე- მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, რუსუდან გიორგაძე, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, აკაკი მაჭავარიანი, ინგა მაღრაძე, ქეთევან ზუმბაძე.

სულ 23 წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

ჯაბა ბერაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თამთა გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

თამარ მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომელი,

მანანა ბაბლიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და შესთავაზა წინადადება კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დღის წესრიგის დამტკიცებისათვის.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე 23,

წინააღმდეგი 0.

დღის წესრიგი მიღებულ იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. N19ა-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე 220,05კვმ. ფართობისა და

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 400კვმ. მიწის ფართობის ზრდასრულთა განათლების ცენტრის გასახსნელად, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის, საქართველოს ოფისზე (DVV INTERNACIONAL) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ჯაბა ბერაძე

მოისმინეს: მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის ინფორმაცია საკითხზე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქ. N 19ა-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე 220,05კვმ. ფართობისა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 400კვმ. მიწის ფართობის ზრდასრულთა განათლების ცენტრის გასახსნელად, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის, საქართველოს ოფისზე (DVV INTERNACIONAL) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით, 10 წლის ვადით ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

დავით კიკნაძემ - რომელმაც განაცხადა,რომ მოცემული საკითხი განიხილეს განათლების, კულტურისა ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიისა და იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე და მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება აღნიშნული ქონების გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

ინგა მაღრაძემ - რომელმაც განაცხადა, რომ ის იცნობს აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობას და ხარაგაულში მისი დაარსება ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი აღნიშნულ საკითხზე და კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე- 23

წინააღმდეგი- 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებულ იქნას (თან ერთვის).

კენჭისყრის შედეგებზე დაკვირვებას ახდენდა საკრებულოს აპარატი.

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე